უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი **25.01.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სდომის თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
მიხეილ ჩხენკელი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
მარიამ შოშიაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

თეიმურაზ ქორიძე - რექტორი;
ზაზა მარუაშვილი - პრორექტორი;
თამარ ტუფინაშვილი - მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ლაშა ჩეკურიშვილი - საქართველოს საპატრიარქოს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის ხარისხის მართვის სამსახურის კურატორი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ელენე გვენცაძე;
ნინო ჯოჯუა;
თამარ გაიხარაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:11 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით აფრასიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ელენე გვენცაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების დოქტორანტების, შოთა ბოლქვაძისა და აბესალომ ტყეშელაშვილის საჩივარის საფუძველზე მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2016 წლის 10–11 ნოემბერს. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- 2012 წელს შოთა ბოლქვაძე და აბესალომ ტყეშელაშვილი ჩაირიცხნენ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში. დოქტორანტებს ხელმძღვანელად დაენიშნათ ტრისტან ნიშნიანიძე, ხოლო თანახელმძღვანელად ნიკოლოზ კაჭარავა. სადოქტორო პროგრამის განხორციელება შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში რეგულირდებოდა მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების" (შემდგომში - დებულება) შესაბამისად, რომლის დეტალური შესწავლის და სტუდენტთა პირადი საქმის განხილვის შედეგად გამოირკვა შემდეგი გარემოებები: დებულება განსაზღვრავდა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმღვანელებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და რეგულაციებს, ასევე დებულება აზუსტებდა დოქტორანტის მიერ დისერტაციის წარდგენისათვის რომელი ხელმძღვანელის დასკვნის წარდგენა იყო სავალდებულო;

- შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში" ტერმინები არ იყო სწორად ფორმულირებული. კერძოდ, აღნიშნული დებულების 23-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი. მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) კი შეიძლება ყოფილიყო მედიცინის/სტომატოლოგიის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი, რომელიც არ იყო სადისერტაციო საბჭოს წევრი. ასევე, სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) დოქტორანტის სადისერტაციო თემის მიმართულებით, უნდა ჰქონოდა კვლევის (გამოქვეყნებული ერთი ნაშრომი მაინც) გამოცდილება;

- 23-ე მუხლის თანახმად დოქტორანტის ორი ხელმძღვანელიდან ერთი იყო - სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხოლო მეორე - სამეცნიერო ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი). ასევე, 28-ე მუხლის მესამე პუნქტში გაწერილი იყო, რომ დისერტაციის წარდგენისას დოქტორანტს უნდა წარედგინა სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) წერილობითი დასკვნა იმის თობაზე, რომ გაეცნო დისერტაციას, რომ დოქტორანტმა შეასრულა ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაო და სადიერტაციო ნაშრომი და მზად იყო დასაცავად;

- ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცის მიხედვით შოთა ბოლქვაძეს და აბესალომ ტყეშელაშვილს შესრულებული ჰქონდათ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული

კრედიტების რაოდენობა 180 კრედიტი. ექსპერტის განცხადებით უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა არანაკლებ 180 კრედიტს, დაწესებულებაში არსებული „მედიცინის" სადოქტორო პროგრამის მოცულობა იყო 180 კრედიტი, დაწესებულებაში არსებული მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით". გაწერილი იყო „დისერტაციის დაცვა", თუმცა რას ემსახურებოდა მოცემული ტერმინი განყენებულად და მის შეფასებაზე გაწერილი 100 ქულა სად, რომელ დოკუმენტში/რომელი კომპონენტის კრედიტის მინიჭებისათვის აისახებოდა, იყო სრულიად გაურკვეველი;

- კანონის მიხედვით ორივე სტუდენტს ჰქონდა უფლება, რომ მათ სადისერტაციო ნაშრომს მიცემოდა დაცვის მსვლელობა. თუმცა, არსებულ ნაშრომებს მსვლელობა არ მიეცა და შემდგომში რექტორის 2016 წლის 5 აგვისტოს №288 და №289 ბრძანებებით მათ შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო;

- წარმოდგენილი იყო სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის) ნიკოლოზ კაჭარავას დასკვნა შოთა ბოლქვაძის სადისერტაციის ნაშრომის შესახებ, რომელიც თარიღდებოდა 2015 წლის 12 ოქტომბრით. ხოლო, აბესალომ ტყეშელაშვილის სადისერტაციო ნაშრომისათვის ნიკოლოზ კაჭარავას შესრულებული დასკვნა არ თარიღდებოდა. ტრისტან ნიშნიანიძის მიერ 2016 წლის 1 ოქტომბერს შედგენილი იყო ახსნა-განმარტება სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ტრისტან ნიშნიანიძე იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას დოქტორანტების, შოთა ბოლქვაძისა და აბესალომ ტყეშელაშვილის სადისერტაციო ნაშრომების აქტუალობისა და აკადემიურობის მიმართ. ასევე, ითხოვდა რომ მისი კანდიდატურა როგორც სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის აღარ განეხილათ;

- დოქტორანტებმა ადმინისტრაციის მითითებით ჩააბარეს სადისერტაციო ნაშრომები დაწესებულების კანცელარიაში (დეკემბრის თვეში), თუმცა ექსპერტის განცხადებით, დებულებით გაწერილი იყო, რომ „დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანს გადასცემდა დისერტაციის 2 აკინძულ ბეჭდურ და 1 ელექტრონულ (PDF) ვერსიას". წარმოდგენილი იყო ტრისტან ნიშნიანიძის დასკვნები ორივე დოქტორანტისათვის (არ ჰქონდა თარიღი დასმული). დასკვნებს თან ერთვოდა დისერტანტის შოთა ბოლქვაძის 2016 წლის 23 თებერვლის 01-01/144 ახსნა-განმარტება სადისერტაციო სხდომის თავმჯდომარისადმი, რომლითაც წარადგინა ტრისტან ნიშნიანიძის დასკვნა. დაწესებულებამ პრობლემად მიიჩნია ის გარემოება, რომ შოთა ბოლქვაძის და აბესალომ ტყეშელაშვილის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დასკვნები იყო იდენტური. თუმცა აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების" შესაბამისი ჩანაწერი არ მოითხოვდა ვალდებულებას ხელმძღვანელ(ებ)ის წერილობით დასკვნას მოეცვა სადოქტორო ნაშრომის აქტუალობისა და მნიშვნელობის/აკადემიურობის აღწერა და შესაბამისად არც იდენტურობას გამორიცხავდა, მით უმეტეს, რომ რაიმე სხვა კონკრეტული დოკუმენტით დასკვნის შინაარსობრივი მხარე არ რეგულირდებოდა. დებულებით მოცემული იყო, რომ დისერტაციის წარდგენისას დოქტორანტს უნდა წარმოედგინა თანახელმძღვანელის წერილობითი დასკვნა იმის თაობაზე, რომ გაეცნო დისერტაციას, დოქტორანტმა შეასრულა ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაო და სადისერტაციო ნაშრომი მზად იყო დასაცავად;

- დოქტორანტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ რეალურად, ადმინისტრაციის მოთხოვნით თანახელმძღვანელის არსებობის პირობებშიც, სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სავალდებულო იყო (თუმცა „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება" ამ მხრივაც მოითხოვდა ტერმინებისა და ზოგიერთი დეფინიციის დაზუსტებას). ამ შემთხვევაშიც დისერტანტების მხრიდან წარმოდგენილი იყო შესაბამისი დასკვნები, თუმცა იდენტური თანახელმძღვანელის დასკვნისა, რომელიც

თარიღდებოდა 2015 წლის 30 ოქტომბრით და 2016 წლის 5 იანვრით ანუ იმ პერიოდით, როცა ტრისტან ნიშნიანიძე ჯერ კიდევ სამეცნიერო ხელმძღვანელად ითვლებოდა, მიუხედავად მის მიერ 2015 წლის 1 ოქტომბერს სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელის სახელზე გაკეთებული ახსნა-განმარტებითი ბარათისა, სადაც აღნიშნავდა, რომ იგი იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას დოქტორანტების, შოთა ბოლქვაძისა და აბესალომ ტყეშელაშვილის სადისერტაციო ნაშრომების აქტუალობასა და აკადემიურობაზე და ასევე ითხოვდა, რომ მისი კანდიდატურა აღარ განეხილათ როგორც სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის. მიუხედავად ტრისტან ნიშნიანიძის განცხადებისა პასუხისმგებლობის მოხსნის შესახებ 2016 წლის 5 იანვარს, განცხადების დაწერიდან ოთხის თვის შემდეგ იგი კვლავ რჩებოდა სამეცნიერო ხელმძღვანელად. შესაბამისად, თეორიული აპელირება იმაზე, რომ დასკვნა არ იყო სამეცნიერო ხელმძღვანელის დაწერილი და მან მხოლოდ ხელი მოაწერა გამზადებულ დოკუმენტს და ეთანხმებოდა თანახელმძღვანელის აზრს, უფრო ეთიკის საკითხი იყო და მოკვლევის საფუძველზე დაწესებულების მხრიდან დროულად უნდა მომხდარიყო შესაბამისი რეაგირება, მითუმეტეს რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ეთიკის კოდექსი. ამასთან, ნიშნიანიძის განცხადებაზე დაწესებულებას დროულად უნდა მოეხდინა შესაბამისი რეაგირება და არა ცხრა თვის დაგვიანებით 2016 წლის 11 ივნისს.

- თანახელმძღვანელი ინიშნებოდა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, თუმცა აღნიშნული ფაქტი მკაფიოდ არ იკვეთებოდა არსებული დებულებით, რადგან სხვადასხვა პუნქტებში ფორმულირებები სხვადასხვაგვარი იყო და განსხვავებული ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლეოდა;

- დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული კომპონენტის უწყისებზე ფიგურირებდა თანახელმძღვანელის, ნიკოლოზ კაჭარავას (რომელთანაც დაწესებულებას არ ჰქონდა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება) და არა სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა და მიუხედავად ამისა აღნიშნულ კომპონენტში დოქტორანტებს შესაბამისი კრედიტები მინიჭებული ჰქონდა, რაც დასტურდებოდა მათი ინდივიდუალური სასწავლო ბარათებითა და შესაბამისი შეფასების უწყისებით.

სხდომის თავმჯდომარემ დავით აფრასიძემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დაწესებულების მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, თამარ ტუფინაშვილმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დოქტორანტების დისერტაციების წარდგენასთან დაკავშირებული საკითხები არსებითად არ იქნა შესწავლილი. კერძოდ, მისი განცხადებით, დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომებს თან ერთვოდა მხოლოდ მათი სამეცნიერო თანახელმძღვანელის კაჭარავას დასკვნა, სამეცნიერო ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის, ნიშნიანიძის დასკვნის ნაცვლად კი სადისერტაციო სხდომის თავმჯდომარის სახელზე წარმოდგენილი იყო ახსნა-განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რომ ის იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას დოქტორანტების ნაშრომების აქტუალურობასა და აკადემიურობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, სტუდენტებს არაერთხელ განემარტათ, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის არარსებობის პირობებში მათი სადისერტაციო ნაშრომები დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით წარდგენილად ვერ ჩაითვლებოდა.

ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტის რექტორის, დეკანის და სწავლული მდივანის მიერ რამდენჯერმე დაბარების მიუხედავად ნიშნიანიძე უნივერსიტეტში არ გამოცხადებულა. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუცხადა, რომ ხელმძღვანელის მიერ გადადგმული მსგავსი სახის უპასუხისმგებლო საქციელი მოითხოვდა უნივერსიტეტის მხრიდან უფრო გულისხმიერ დამოკიდებულებას სტუდენტების მიმართ, რადგან მოცემულ სიტუაციაში

მათი ბრალეულობა არ იკვეთებოდა. სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დაწესებულების პასუხისმგებლობას წარმოადგენა დოქტორანტების უზრუნველყოფა ხელმძღვანელით. დავით აფრასიძე ასევე დაინტერსდა, სტუდენტებისათვის დაკისრებული დამატებითი სწავლის საფასურის გადახდის საკითხით.

დავით აფრასიძე დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა აღნიშნულ აკადემიურ პერსონალს ხელშეკრულებით ან ბრძანებით დაკისრებული დოქტორანტების ხელმძღვანელად/თანახელმძღვანელად ყოფნის ვალდებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორივე შემთხვევაში არსებობდა სადისერტაციო საბჭოსა და რექტორის შესაბამისი ბრძანებები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ნ. კაჭარავას პირადი საქმე ვერ წარმოუდგინეს დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს.

დაწესებულების პრორექტორმა, ზაზა მარუაშვილმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მზად იყო დოქტორანტთა ინტერესების უპირატესად დაცვის მიზნით განეხორციელებინა რიგი ღონისძიებები, კერძოდ, გამოყოფილიყო დამოუკიდებელი პირი, რომელიც დაწერდა ობიექტურ დასკვნას სადოქტორო ნაშრომების შეფასების საფუძველზე და საქმეს მიეცემოდა მსვლელობა. სტუდენტების სტატუსტთან დაკავშირებით, პრორექტორმა განაცხადა რომ ორივე დოქტორანტს მხოლოდ შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და უნივერსიტეტი ფინანსური ვალდებულების დაკისრების გარეშე აღუდგენდა მათ სტატუსს.

ექსპერტის განცხადებით, დოქტორანტებს შოთა ბოლქვაძეს და აბესალომ ტყეშელაშვილს ათვისებული ჰქონდათ 180 კრედიტი (რაც ლოგიკურად კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი უნდა ყოფილიყო) უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, მესამე საფეხური (დოქტორანტურა) მოიცავდა არანაკლებ 180 კრედიტს.

ელენე გვენცაძის განცხადებით, დაწესებულებაში არსებული „მედიცინის" სადოქტორო პროგრამის მოცულობა იყო 180 კრედიტი, დაწესებულებაში არსებული მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის „ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით" მუხლი 32-ის მიხედვით დაწერილი იყო „დისერტაციის დაცვა" თუმცა, რას ემსახურებოდა მოცემული ტერმინი განყენებულად და მის შეფასებაზე გაწერილი 100 ქულა სად და რომელ დოკუმენტში რომელი კომპონენტის კრედიტის მინიჭებისათვის აისახებოდა, არ იყო გარკვეული.

პროცედურის გამართვასთან დაკავშირებით, პრორექტორმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ავტორიზაცია მოპოვებული ჰქონდა 2011 წელს და აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაციაც იმავე წელს ჰქონდა გავლილი. შესაბამისად, მიმდინარე წელს დაწესებულება გადადიოდა წინასაავტორიზაციო ეტაპზე და სრულყოფილად აპირებდა რიგი საკითხების დახვეწას და შეცვლას, მათ შორის დაწესებულების მარეგულირებელი აქტების განახლებას.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 16:05 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204886454) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ წარუდგინა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების პოზიცია. მისი თქმით, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები გამომიდნარეობდა დაწესებულებაში რიგი პროცედურების გაუმართაობიდან და მარეგულირებელი აქტების ხანდაზმულობიდან. „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“ უნდა განახლდეს და შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებთან, მათ შორის კრედიტების გაანგარიშების წესთან. სტატუსშეჩერებულ დოქტორანტებს უნდა აღუდგეთ სტატუსი ფინანსური ვალდებულების დაკისრების გარეშე და დროულად მიეცეს მსვლელობა მათ სადოქტორო ნაშრომების დაცვის საკითხს. დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებითი იყო სადოქტორ ნაშრომების ხარისხი. საბჭოს შუამდგომლობით დაწესებულებას განესაზღვრა ორ თვიანი ვადა უნივერსიტეტის შიდა დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარმოდგენილ უნდა იქნეს ცენტრში. დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ ორთვიანი ვადის ათვლა დაიწყებოდა გადაწყვეტილებისა და ოქმის ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ გაიხარაშვილმა. დაწესებულების ერთ-ერთი სტუდენტის საჩივრის საფუძველზე სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2016 წლის 19 და 20 დეკემბერს. საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, დაწესებულებაში არ იყო სათანადოდ დაცული სტუდენტების ინტერესები მატერიალურ რესურსთან მიმართებით, კერძოდ, ზამთრის პერიოდში პერიოდულად არ იყო ჩართული გათბობის სისტემა.

თამარ გაიხარაშვილის განცხადებით, ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში მუდმივად ჩართული იყო გათბობის სისტემა და ამ მიმართულებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა. ექსპერტს რამოდენიმე საბჭოს წევრიც დაეთანხმა, რომლებიც ზამთრის პერიოდში სტუმრობდნენ დაწესებულებას სხვადასხვა დროს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ინტერვიურება ჩაატარეს, როგორც სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ, მოწვეულ და ადმინსიტრაციულ პერსონალთან. თამარ გაიხარაშვილმა აღნიშნა, რომ საჩივარში მოცემული გარემოებები არ დადასტურა.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ცენტრის წარმომადგენელს ჰკითხა საჩივრის შემოსვლის და მონიტორინგის განხორციელების თარიღი. ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ სტუდენტის საჩივარი2016 წლის 2 მარტს შემოვიდა, თუმცა საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე ზამთარში მოხდა მონიტორინგის ვიზიტის განხროციელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (საიდენტიფიკაციო კოდი: 218076542) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები, დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბრის N42 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია. ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 56[5]-ე მუხლის თანახმად, ის დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებდნენ მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებს, ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას გადიოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი განსხვავებული წესის შესაბამისად.

ლაშა მარგიშვილის განმარტებით, ავტორიზაციის განსხვავებული წესი დადგენილი იყო ,,მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით. №135/ნ ბრძანების მიხედვით საქართველოს სამოციქული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ იმ დაწესებულებისათვის, რომელიც ახორციელებდა მხოლოდ საღვთისმეტყველო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს. ლაშა მარგიშვილის განცხადებით, 2016 წლის 28 ივნისს ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში, რომლითაც მოითხოვა ქრისტიანული ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატება. აქვე მან განაცხადა, რომ 2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N135/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი იყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თვითშეფასების ანგარიშის წარდგენით, დაემატებინა საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე.

საბჭოს წინაშე საკუთარი თავი წარადგინა ლაშა ჩეკურიშვილმა, საქართველოს საპატრიარქოს წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის ხარისხის მართვის სამსახურის კურატორმა. მისი განმარტებით, ა(ა)იპ - ახალი საქართველოს სურვილი იყო დამატებით განეხორციელებინა ქრისტიანული ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტისათვის ქრისტიანული ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 7
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის“ 2^1-ე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 215149248) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

№	აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მაგისტრატურა	ქრისტიანული ფსიქოლოგია	ქრისტიანული ფსიქოლოგიის მაგისტრი	120

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 16:42 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თუთა ნარმანია